ამ ხელისუფლებამ ევროობლიგაციები აპრილში რომ გამოუშვა, წინასწარ იცოდა, რომ აგვისტოში ომი უნდა დაწყებულიყო?

“საერთო გაზეთი” – 4-10 მაისი, № 18, 2011.

ბოლო დღეების ინფორმაციით, ხელისუფლებამ ღიად განაცხადა, რომ მოახდინა ძველი ევროობლიგაციების ანუ ვალის რეფინანსირება, და მის გადასახდელად ახალი ვალი აიღო ნახევარი მილიარდი დოლარის ოდენობით. ასევე, გამოავლინეს დამნაშავეთა ჯგუფები, რომელთაც იაფი კრედიტი, რომელიც მათ ხელისუფლებისგან აიღეს, მიზნობრივად არ გამოიყენეს და ისინი სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი.

რატომ ხდება ეს დარღვევები? რატომ მოხდა ახალი სახელმწიფო ვალის აღება, საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით ეკონომიკურ ექსპერტს, ბატონ ლადო პაპავას.

– ბატონო ლადო, როგორც ხელისუფლება აცხადებს, ქვეყნის საგარეო ვალის გადახდა 2021 წლისთვის გადაიწია, რით არის ეს გამოწვეული და რა მნიშვნელობა ექნება ქვეყნისათვის?

– ჯერ კიდევ 2008 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ გამოუშვა ნახევარი მილიარდი დოლარის შესაბამისი ევროობლიგაციები. თავად ეს ობლიგაცია არის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი, რომელიც იყიდება ევროპის ფინანსურ ბაზარზე, ამიტომ ეწოდება მას ევროობლიგაცია. ამის შესაბამისად, ანუ მისი გაყიდვით, ქვეყანამ მიიღო 500 მილიონი დოლარი, რომელიც გახლდათ კრედიტი. ამით ქვეყანამ აიღო ვალდებულება, რომ მან აიღო სესხი, რომელსაც დააბრუნებდა, თავისი პროცენტით, აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება, რომ 2008 წლის ევროობლიგაციები და ეს სესხი, აღებული იქნა 5 წლის ვადით, ანუ ეს ვალი გასასტუმრებელი უნდა ყოფილიყო 2013 წლიდან. ფაქტობრივად, ეს თანხა უნდა გასტუმრებულიყო ბიუჯეტიდან, რომელსაც ჩვენი მოქალაქეები ავსებენ. ამ ევროობლიგაციების

წლიური პროცენტი გახლდათ 7,5 პროცენტი, ანუ 500 მილიონი ყოველწლიური 7,5 პროცენტით.

ეს მსოფლიო ეკონომიკის პრაქტიკაა, მასში უცხო არაფერია, თუმცა, ჩვენს შემთხვევაში, ამ ყველაფერს ჰქონდა ერთი დიდი ხარვეზი. ავიღოთ მარტივად, როდესაც ჩვეულებრივი მოქალაქე იღებს ვალს, მან იცის რისთვის სჭირდება ეს ვალი, თუ არა და, რისთვის აიღებს ვალს? ეს ანბანური ჭეშმარიტება.

ამ შემთხვევაში კი უცნაური რამ მოხდა. 2008 წლის აპრილში სახელმწიფომ გამოუშვა ევროობლიგაცია, აიღო საგარეო ვალი, მაგრამ რისთვის? – ეს სრულიად გაუგებარი დარჩა. უფრო დაწვრილებით თუ განვიხილავთ ამ საკითხს, გეტყვით, რომ ჯერ კიდევ 2008 წლის დასაწყისში, ვალის აღებამდე, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ წინასწარ განაცხადა, რომ სახელმწიფოს ვალის აღება სჭირდებოდა გაზსაცავის ასაშენებლად და მაგისტრალური ელექტროგადამცემი ხაზების ასაგებადო. ცხადია, ეს ორივე პროექტი მართლაც მნიშვნელოვანი რამ იყო ქვეყნისათვის. პრემიერის ამ განცხადებიდან ორი კვირის შემდეგ ფინანსთა მინისტრმა გილაურმა განაცხადა, რომ ეს თანხა ამ პროექტების განსახორციელებლად არ დაიხარჯებოდა.

ფაქტობრივად, ყველამ ვიცით, რომ არც ერთი გაკეთდა, არც მეორე! ღიად დარჩა საკითხი, თუ სად წავიდოდა ეს თანხა, ხელისუფლებიდან კი არავინ კომენტარი არ გააკეთა.

ასევე, ევროობლიგაციების გამოშვების შემდეგ ითქვა კიდევ ერთი რამ, რომ ამ თანხის, ანუ ვალის ნახევარი მოხმარდებოდა მომავალი თაობების ფონდს. ასეთი ფონდისათვის ქვეყნები ვალს არ იყენებენ, მასში აკუმულირებული უნდა ყოფილიყო ბიუჯეტის პროფიციტული თანხები. ამიტომ თვითონ ეს განცხადებაც დიდი შეცდომა იყო!

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ითქვა, რომ ის 500 მილიონი დაიხარჯა ამ ომის შედგების ლიკვიდაციისათვის. ეს შეიძლება პასუხია, მაგრამ არა ყოვლისმომცველი! იმიტომ, რომ წლის დასაწყისში, ანუ აპრილში რომ ევროობლიგაციები გამოუშვეს, მაშინ იცოდნენ, რომ ომი იქნებოდა? დაგეგმილი იყო ეს ომი? თუ ომი არ იყო დაგეგმილი, მაშინ რატომ არ მოიხმარეს ეს ფული მანამდე? სად იყო ეს ფული ამ ოთხი თვის განმავლობაში?

სამწუხაროდ, დღემდე ამ კითხვებზე პასუხი არ არის!!! გარდა, ამისა, თუ ეს 500 მილიონი ომის შედეგების ლიკვიდაციის მოხმარდა, აუცილებელი იყო კონტროლის პალატას წარმოედგინა დეტალური დასკვნა, რომლის პირველ ნაწილში უნდა იყოს აღწერილი თუ სად იყო ფული 2008 წლის აპრილიდან აგვისტომდე, ხოლო მეორე ნაწილში უნდა შეისწავლონ, თუ როგორ დაიხარჯა ომის ლიკვიდაციის შედეგებისათვის ეს ვალი. დღემდე ასთი დასკვნა არ არსებობს!

– ამ ახალ აღებულ ვალზე, ანუ 2011 წელს გამოშვებულ ევროობლიგაციებზე რას იტყვით, ორი წლით ადრე რატომ მოხდა მისი აღება?

– რაც შეეხება ამ ახალ ვალს, იმ დროს, როცა ჯერ ძველი არ გაგვისტუმრებია, აქ მოხდა შემდეგი რამ: ამ ახალი ევროობლიგაციებით მოხდა იმ ძველი ვალის რეფინანსირება – რაც ნიშნავს შემდეგს. როცა ქვეყანას არ შესწევს უნარი ძველი ვალის გადახდისა, მაშინ იღებენ ახალ ვალს ძველის გასასტუმრებლად, საქმე იმაშია, რომ 2013 წელს ქვეყანას არანაირი შესაძლებლობა არ ექნება ძველი ვალის დასაბრუნებლად, მითუმეტეს, რომ მას 7,5 პროცენტიც ემატებოდა და ეს კი მილიარდ ლარზე გადის. საარჩევნო წელია და მთავრობას არა ერთი პოპულისტური ხარჯიც ექნება გასაწევი. ცხადია, 2013 წელს ქვეყანას მაინც დასჭირდებოდა ევროობლიგაციების რეფინანსირება, რაც მოხდა ორი წლით ადრე. კარგია ეს თუ ცუდი? – ცხადია, კარგია. იმიტომ, რომ ეს რეფინანსირება ანუ ვალის ხელახლა აღება მაინც დაგვჭირდებოდა, 2011 წელი კი არ არის პოლიტიკურად დატვირთული წელი და ამ დროს ახალი ვალის აღება უფრო მისაღებია. თანაც, ეს ახალი, ნახევარმილიარდიანი ვალი აღებული იქნა უფრო ნაკლები – 7,1 პროცენტით და ათი წლის ვადით ანუ 2021 წელს დაიწყება მისი გადახდა, ეს წელი კი კონსტიტუციურად არ ემთხვევა არც საპარლამენტო და არც საპრეზიდენტო არჩევნებს.

ამ ნაბიჯს მე სწორად ვაფასებ, თუმცა, ჩნდება კითხვა, გამოშვებული 500 მილიონი დოლარის ევროობლიგაციებიდან, მხოლოდ 413 მილიონი რეფინანსირება მოხდა, დანარჩენი 87 მილიონის კი არა, რატომ? რა პრობლემაა? – ამაზე მთავრობა კომენტარს არ აკეთებს. სად წავიდა 87 მილიონი დოლარი?

ახალი ვალიდან კი, როგორც მოგახსენეთ, 500 მილიონი დოლარი გადახდილი იქნება არა 7,5 არამედ 7,1 – პროცენტით, მაგრამ ათი წლის

ვადით – რაც საბოლოო ჯამში უფრო მეტი იქნება თანხობრივად. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ შეცდომა ამჯერად, ანუ 2011 წელს კი არ არის დაშვებული, არამედ შეცდომა დაუშვეს 2008 წელს, ახლა კი ვალის აღება იყო იძულებითი ნაბიჯი, მაგრამ სწორი. თუმცა, ხაზს ვუსვამ, ღიად რჩება 2008 ვალის აღების საკითხი, რისთვის აიღეს ეს ვალი? რაში გამოიყენეს?

– ბოლო დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოდან უკანონო გზით ბოლო ათ წელიწადში მოხდა 4 მილიარდი დოლარის გადინება, რაც გულისხმობს ოფშორულ ზონებში მათ უკანონო გადარიცხვას, თქვენ რას ფიქრობთ?

– ამ თანხის გადინების შეფასება შესაძლებელია, მხოლოდ ექსპერტული გზით და ის „გლობალური ფინანსური ერთიანობის“ ანგარიშშია დაფიქსირებული. ამისათვის ექსპერტებმა საერთაშორისო ვაჭრობაში არსებული საფასო ცდომილების მონაცემები გამოიყენეს.

– ქვეყანაში უკვე მრავალგზის დაფიქსირდა იაფი კრედიტების არამიზნობრივი ხარჯვა, რასაც ხშირად მძიმე შედეგები მოჰყვება ხოლმე, ახლახანაც იყო კომპანიებისა თუ მეწარმეთა დიდი ჯგუფების დაჭერები, რომელთაც ხელისუფლებისაგან მალულად თვითგამდიდრებისათვის გამოიყენეს თანხები...

– თავად იაფი კრედიტის პროგრამა არ არის ცუდი, ქვეყანაში ის უნდა იქნეს გამოყენებული ეკონომიკის განვითარებისათვის, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, ასევე, სოფლის მეურნეობისათვის. მაგრამ ის პროექტი, რომელიც საქართველოში განხორციელდა, განხორციელდა შეცდომით! კრედიტის გამცემი გახდა თავად მთავრობა, ანუ მაშინდელი ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ეს ასე არ უნდა ყოფილიყო!

კრედიტის გმცემი უნდა ყოფილიყო კომერციული ბანკი. კერძოდ, მთავობას უნდა ჩაეტარებინა ტენდერი, გამოევლინა საუკეთესო კომერციული ბანკი, რომელსაც ექნებოდა ამ კუთხით მუშაობის გამოცდილება, მისთვის უნდა დაეწესებინა პირობები, თუ რა პირობებით გაეცათ სესხები, და შემდეგ ეს ბანკი მთავრობის მიერ მიცემული ფულით გასცემდა სესხს ზემოთ ნახსენები დარგების განვითარებისა და ხელშეწყობისათვის. ბანკი არის საკრედიტო დაწესებულება, ხოლო მთავრობა არის პოლიტიკური ორგანო, ამიტომ ნუ გაგიკვირდება, რომ იაფი კრედიტის გაცემის დროს იქნა დაშვებული ასეთი შეცდომები.

იაფი კრედიტი არის საბიუჯეტო ფული და მისი შესწავლა უნდა განხორციელებულიყო კონტროლის პალატის მიერ. თუ რაიმე დარღვევა იყო, მათ უნდა გაერკვიათ ეს საკითხი, თუ მთელი ამ ხნის განმავლობაში ყველაფერი ისე არ ხდებოდა როგორც საჭირო იყო, რატომ არ შეისწავლეს მანამდე და არ გაარკვიეს, თუ რა ხდებოდა?

– დღეს ინვესტიციები თუ შემოდის ქვეყანაში?

– ინვესტიციები საქართველოში შემოდის, მაგრამ უფრო ნაკლები ვიდრე ადრე. თუმცა, ერთი რამ მინდა აღვნიშნო, ადრე რაც შემოდიოდა, იყო სპეკულაციური ინვესტიციები, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ხმარდებოდა არა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, არამედ უძრავი ქონების შეძენას, სწორედ მან გამოიწვია ის, რომ, რაც კი ინვესტიცია შემოვიდა 2004-დან 2008 წლის ჩათვლით, ამან შექმნა დიდი ფინანსური შესაძლებლობა – მაგრამ ამ შესაძლებლობას ქვეყნის ეკონომიკა არ განუვითარებია, ეს იყო სპეკულაციური ოპერაცია და მეტი არაფერი.

ეთერ კასრელიშვილი